

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის**

**ბრძანება №6-2
2025 წლის 30 აპრილი**

ქ. თბილისი

**„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების
მომზადების, წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
2019 წლის 21 მაისის №6-2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების
მომზადების, წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
2019 წლის 21 მაისის №6-2 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 22/05/2019,
სარეგისტრაციო კოდი: 350080000.64.076.016059) დამტკიცებულ „ანგარიშგების ვებგვერდზე
მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი
ინფორმაციის გასაჯაროების წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სუბიექტის მიერ გადასაგზავნ ღირებულებაზე დაჭერის შემდგომ, სისტემის მიერ გადაგზავნის
დადასტურებისას, ანგარიშგებები სამსახურისთვის წარდგენილად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა,
თუ სუბიექტი წარადგენს აუდიტირებულ ანგარიშგებას/ანგარიშგებებს. აუდიტირებული
ანგარიშგების/ანგარიშგებების წარდგენის შემთხვევაში სუბიექტი ანგარიშგებას/ანგარიშგებებს
უგზავნის აუდიტორს, რომელიც ადასტურებს ანგარიშგებას/ანგარიშგებებს წესის მე-17 მუხლის მე-3
პუნქტის თანახმად. აუდიტორის მიერ დადასტურების შემდგომ ანგარიშგება/ანგარიშგებები
სუბიექტის მიერ სამსახურში წარდგენილად ჩაითვლება. სამსახურისთვის
ანგარიშგების/ანგარიშგებების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარდგენაზე პასუხისმგებელია
სუბიექტი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი

დავით მჭედლიძე

